

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცხოვართათვის. იოან. 10—11.  
შოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული. ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.  
მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 5

1883—1899

15 მარტი


## ივერეთის ეპარქიის სამღვდლოების საშუკალღვოლ.



როგორც წინადა გვეჩინდა გამოცხადებული, მათმა მეუფებამ ივერეთის ეპისკოპოსმა ბესარიონმა სამღვდლოების დეპუტატების კრება დანიშნა მარტის 16-დან 18-მდე. ამ კრებას ბევრი საქმე ექნება განსახილველი როგორც სასწავლებლების ისე სანთლის ქარხნის და სხვა საეპარქიო საქმეები. იმედა, სამღვდლოება გამჭრიახობას გამოიჩენს და არ დაჭკარგავს კრებისათვის დანიშნულს დროს უბრალო

საკითხაუბრე კამათობით. ჩვენ საკუთარ მოვალეობად მიგვაჩნია, რომ იმ წინადადებათა გარდა, რომელნიც გარდაეცემიან კრებას განსახილველად და განსახილველად როგორც ადგილობრივ მღვდელ-მთავრისაგან, ისე სასწავლებლების სამმართველოთა და რჩევისაგან, აღვნიშნოთ, თუ რას უნდა მიაქციოს კრებამ ყურადღება და რა ღონე იხმაროს, რომ როგორც სასწავლებლების ისე თავისი მდგომარეობის საქმე გააუმჯობესოს.

პირველ ამისთანა საყურადღებო საქმედ, როგორც ყოველთვის, ისე დღესაც მიგვაჩნია სანთლის ქარხნის საქმე—ეს ერთი უმთავრესი და საიმედო წყარო სასწავლებელთა და ეკლესია-



თა მდგომარეობის გაუქმობისა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქველასათვის საინტერესო უნდა იყოს იმის გაგება, თუ რა მდგომარეობაში არის დღეს სანთლის ქარხნის წარმოების საქმე. მოგვეხსენებოდეთ სანთლის ქარხნის მდგომარეობისა.

რეობაში არის დღეს სანთლის ქარხნის წარმოების საქმე. მოგვეხსენებოდეთ სანთლის ქარხნის მდგომარეობისა.

### ანგარიში

იმერეთის ეპარქიის სანთლის ქარხნის შესავალ-გასავლისა 1898 წლისა.

შეშორება:

დაიხარჯა:

	მან. კაპ.	სასყიდლად: ცვილისა	მან. კაპ.
დაშთენილი ნაღდი ფული 1897 წლიდან.	78 87	ნამწვი სანთლისა	13221 65
გასესებული ფული ძველი დროიდგან.	1798 58	სანთლის გულისათვის, პატრუქისათვის.	117 65
გასყიდული სანთლის ფული	24150 25	სანთლის სახვევი თოკისათვის	371 50
სარგებელი ფულის თანხიდგან	11 54	სახვევი ქალაღლისა	5 —
ზალოგის ფული ოსტატისაგან	200 —	ქარხნის შეკეთებისა და შენახვისათვის	50 —
გარდახდილი სესხის ფული	200 —	მოსამსახურეთა ჯამაგირისათვის	89 2
ს უ ლ	26439 24	საკმეველისათვის	1016 58
დარჩა 1-ლი იანვრისათვის 1899 წ. ნაღდად	1634 მ. "	ოსტატს სანთლის გასაკეთებლად	7 —
— — — — — ვალად		სასწავლებლების შესანახავად და საეკლესიო ხაზინის შესავსებად	1750 20
სხვა დასხვა პირებზე	1804 29,,	წვრილიმანი და მოულოდნელი ხარჯი	5760 —
		გაუქმდა ვალდებულება	412 41
		დაშთა ყოველ ხარჯს გარდა	200 —
		ს უ ლ	3438 24
		ს უ ლ	26439 24

### ანგარიში

იმერეთის ეპარქიის სანთლის ქარხნის შესავალ-გასავლისა, დაშთენილი და დამზადებული სანთლისა და მასალისა 1898 წლისა.

შეშორება:

განსავალი.

	ფუთ. გირ.	დახარჯულ არს სანთლის გასაკეთებლად:	ფუთ. გირ.
დაშთენილი 1897 წლიდან ცვილი	114 21	ცვილი	664 13 <sup>7</sup> / <sub>8</sub>
" " " ნამწვი	" "	ნამწვი	8 11 <sup>1</sup> / <sub>2</sub>
დამზადებული სანთელი თეთრი და ყვითელი	108 27 <sup>1</sup> / <sub>2</sub>	პატრუქი	26 25 <sup>5</sup> / <sub>8</sub>
პატრუქი	12 20 <sup>1</sup> / <sub>8</sub>	სახვევი ქალაღლი	15 23 <sup>3</sup> / <sub>4</sub>
სახვევი ქალაღლი	43 1 <sup>3</sup> / <sub>8</sub>	თოკი	2 15
1898 წელში ნაყიდი ცვილი	570 14 <sup>3</sup> / <sub>4</sub>	გასყიდულ არს სანთელი	599 35 <sup>1</sup> / <sub>2</sub>
" " " ნამწვი	10 36	დაშთენილ 1899 წლის პირველი იანვრისათვის ცვილი სანთელი	120 21 <sup>7</sup> / <sub>8</sub>
პატრუქი	24 10	ნამწვი	2 23 <sup>1</sup> / <sub>2</sub>
სახვევი ქალაღლი	12 29	დამზადებული სანთელი	93 8 <sup>1</sup> / <sub>2</sub>
ჩამოსხმული სანთელი	584 5 <sup>3</sup> / <sub>4</sub>	პატრუქი	10 4 <sup>1</sup> / <sub>2</sub>
და სრულიად ცვილი 684 ფ.	35 <sup>3</sup> / <sub>4</sub> გირ.,	სახვევი ქალაღლი	— 6
ნამწვი 10 ფ.	36 გირ.,	და თოკი	" "
დამზადებული სანთელი 692 ფუთი	35 <sup>5</sup> / <sub>8</sub> გირ.		
პატრუქი 36 ფ.	30 <sup>1</sup> / <sub>8</sub> გ.,		
სახვევი ქალაღლი 15 ფ.	30 <sup>3</sup> / <sub>4</sub> გ.,		
და თოკი 2 15			



როგორცა სჩანს ამ ანგარიშიდან, სანთლის ქარხანას აქვს დღეს სხვა და სხვა მასალა, დირებული 7.000 მანეთამდე! ნაღდ ფულად, დარჩენილი წარსულის წლიდან, 634 მანეთი, გავსებული 1804 მან. 29 კაპ. და სულ 9400 მანეთამდე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სანთლის ქარხანას მოემატა ხარჯი წარსულს წელში სანიადაგო 1000 მანეთი, რომელიც ეძლევა იმერეთის ეპარქიის გაბრიელის ქალების სასწავლებელსა და 250 მან. ერთდროებითი.

ესლა გადავაკლოთ თვალი 1896 წლის სანთლის ანგარიშს. 1895 წელში დეკემბრის 20 ძველი ქარხნის გამგეობამ გარდასცა სამღვდელოების კრებისაგან დანიშნულ კომიტეტს ფულად, სანთლით და გასესხებული ფულით სამი ათას მანეთამდე. სანთლის ქარხნის საქმე წარმოებს აკერ ორი წელიწადი. ხარჯი მოემატა ქარხნის შემოსავალს, ე. ი. ას ოცდასუთი თუმანი სასწავლებლების სასარგებლოდ გავიდა, ეველა ხარჯი დიფარა და სანთლის ქარხანას დღეს კიდევ აქვს მასალა და ფულად ცხრა ათას მანეთამდე. ეს ანგარიში, ვკონებ, ეველას ცხადთ დაუბტვიცებს, რომ ბევრის წილათ უკვეთ მიდის სანთლის წარმოების საქმე იმის შემდეგ, რაც ეოვლად სამღვდელომ ეპისკოპოსმა ბესარიონმა სამღვდელოებისაგან აღჩეულ კომიტეტს გარდასცა სანთლის ქარხნის გამგეობის და წარმოების საქმე. მაგრამ ჩვენ კიდევ ბევრი რჩევა და მოსაზრება გვაქვს წარმოსათქმელი სამღვდელოების კრების წინა-

ბე, და იმედია სამღვდელოების კრება უზრუნველბას მიაქცევს. აი ეს მოსაზრებანი და რჩევანი, რომელნიც ჩვენ სახეში გვაქვს. 1) სანთლის ქარხანას თუცა კარგა ფული დაუხარჯავს ჰირველად, მაგრამ ძლიერ შეუფერებელ მღვდმარეობაშია და თავის საკუთრება სანთლის ჩამოსასხმელად ძველ გამგეობას არა ქონებია გაწეობილი, ოთახებიც არ არის ჯეროვანად გაწეობილი, ესო სანთლის ქარხნისა არ არის რიგიანად შემოსულად და მსესე გაფენილ სანთელს უთუოდ დამდამობით კაცი უნდა უდგეს. ერთი სიტყვით ქარხნის რიგიანად მოწეობა და გამართვა ძლიერ საჭიროა და ქარხანას დღეს შემღებაც აქვს, რომ იგი რიგიანად მოიწეოს და გაიმართოს.

2) ის წესი, რა წესითაც დღეს სანთლის მოპოება არის დაეწებული ეკლესიებისათვის, ძლიერ უხერხული და საზარალთა ეკლესიებისათვის საზოგადოდ და განსაკუთრებით საზოგადოებისათვის. პოელს ეპარქიაში ერთადერთი სანთლის გასაყიდელი საწეობია ქუთაისში და ამით ძეტად საძნელოა დაშორებული მასრების ეკლესიებისთვის სანთლის მოპოება. ამისათვის ჩვენის აზრით მიუცილებლად საჭიროა სანთლის საწეობების გასხნა ლქხუმის, რაჭის და შორაზნის მასრებში. ამ მასრებში სანთლის საწეობები ერთის მხრით გაუადვილებს სტაროსტებს სანთლის მიტანას, ეკლესიას ააცილებს იმ გადასახადს, რომელსაც დღეს სტაროსტები ეღებენ თავის სასარგებლოდ ორ მაურს თითო მანეთზე და ამასაც უკანონოდ



შეორეს მხრით ვეკლას მასცემს საშუალებას რიგიანი სანთელი ივიდოს და არა ვაღბი ჩუმათ, მაღულად დუქინეში. ეს გაავრცელებს სანთლის ვაჭრობას და სანთლის ვაჭრობის ვაჭრელებს მოუმეტებს ქარხნას შემოსავალს. ამ გზასადეიან ვეკლავს და ამ გზით გაუდიდებიათ სანთლის ქარხნის შემოსავალი და დასაჯერი არ არის ზოგიერთების მსჯელობა, რომ სანთლის საწვებების ვაჭრელებს ვითომც სანთლის ქარხნას შემოსავალს დააკლებსო!..

3) შესაძე ჩვენი რჩევა და მოსახრება შეეხება 2750 მანეთს, რომელიც დღეს სანთლის ფულისაგან გადადის 2500 საეკკლესიო საზინის ნაკლის შესავსებლად და 250 საეპარქიო კანცელარიის მოსამსახურეთა სასარგებლოდ. აი საქმე რაში მდგომარეობს, როცა მაგირდების რიცხვმა იმატა თფილისის სემინარიაში, ზარბაღელური კლასები გასსნეს თითოეულ კლასთან და ამათი ხარჯი იმერეთის და გურია-სამეგრელოის ეპარქიებს დაუვალებს. ამ კლასებმა იმდენი ხარჯი მოითხოვეს, რომ საზინაში აღარ დარჩა იმოდენი ფული, რომ ვეკლა საეპარქიო ხარჯები დაეფარა და ამის გამო უწმიდესმა სინოდმა გარდასწვიტა ეს ნაკლი ამ სანთლის ქარხნებიდან შეეხსოთ. დღეს თფილისის სემინარიაში ზარბაღელური კლასები იხურება და მათი შესწავლი ფულები საზინასვე რჩება. ქუთაისის ს. სულიერო სემინარიაში თუძცა ისარჯება ფული საეკკლესიო საზინის, მაგრამ არა იმოდენი, რამდენიც თფილისის სემინარიაში იყო საჭირო. ამისათვის სამღვდლოებას შეუძ-

ლია, რომ თუ ეს ორი ათას სუთასი მანეთი საჭირო არ იქნება საეკკლესიო საზინის ნაკლის შესავსებლად, მოიხმაროს სასწავლებლების საჭიროებისათვის. სანთლის ქარხნის შემოსავალს განსაზღვრული დანიშნულება აქვს. სანთლის ფული უნდა ისარჯებოდეს უთუოდ სასწავლებლების საქმესე და არა კანცელარიების მოსამსახურეთა შესწავლად. კანცელარიის მტკიცები დამტკიცებულია და თუ რაიმე მეტია საჭირო, ეს ადვილად შეიძლება გამოითხოვონ სახელმწიფო საზინიდან და არა სანთლის ქარხნიდან. მრავალ ეპარქიებში ეპარქიის კონსისტორიები და კანცელარიები საკრებულო ტარების კრებულისთუთ სახელმწიფო საზინიდან იღებენ ჯ. მაგირების და ჩვენ რა დავაძვეთ, არ ვიცი... 2750 მანეთი რომ სასწავლებლებს მოხმარდეს, მაშინ სამღვდლოებას თავისი ხარჯი სასწავლებლებისმ 2750 მანეთით შეუმოკლდება და ან ზედმეტი მოსალოდნელი ხარჯი თავიდან აცილდება.

ამას წინეთ იმერეთის სამღვდლოების კრებასე კაბრიელის საქალებო სასწავლებლის საბჭომ აღძრა კითხვა, რომ ხსენებული სასწავლებელი ექვს კლასიანად გადაკეთებულიყო, მაგრამ სამღვდლოებას ამ კითხვასე უარი განაცხადა თავისი სიღარიბისა გამო. მაგრამ დღეს თუ ეს 2750 მანეთი ააცილა სამღვდლოებას სანთლის ქარხნის დღევანდელ ხარჯს, იგი მაშინ ადვილად შეიძლება ხსენებული სასწავლებლის ექვს კლასიანად გადაკეთებას.

ზოგი შემდეგ ზირისპირ კრებასე.

დეკ. დ. დამასშიძე.



# გარეგნობით კეთილ-მსახურების დაცემის მი- სჯი ჩვენ ხალხში და მისი აღსადგენი სა- შუალებები.

გაგრძელება \*



ველსათვის ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ გარეგან მოწყობილებას, ამა თუ იმ საგნებს ადამიანის სულის მოძრაობაზე დიდი ზედგავლენა აქვს, ისინი მასში წარმოშვებენ შესაფერ აზრებს, გრძნობებს, და რამდენად გარეგანი მორთულობა შეენიერია, იმდენად სულის მოძრაობაც უფრო ღონიერია. სად პაწია, ღარიბ, დაბნელებულ ქოხში ყოფნა და სად მდიდრულად მორთულ სასახლეში; იქ გონება და გული იხსნება, იჩლუნგება, აქ კი გონება იხსნება და გული მაგრად იწყებს ცემას. ამაირადვე, რელიგიური გრძნობა ადამიანისა მით უფრო ძლიერდება, ქრისტიანე თვისს სულს და გულს მით უფრო მიმართავს ღვთისადმი, რამდენად უფრო კარგი მოწყობილობა ის ადგილი, სადაც იგი ლოცულობს, ე. ი. ტაძარი. მართალია, არიან ისეთი პირები, რომლებიც არა ნაკლებ გულ-მოდგინედ ლოცულობენ მაშინაც, როცა ისინი ღარიბ ეკლესიაში სდგანან და უბრალო, გაუმშვენებელ ღვთის-მსახურებას ისმენენ, მაგრამ ესეთის პირების მაგალითი ზემოთქმულ საზოგადო კანონს ვერ დაარღვევს. ასეთი პირები ძლიერ იშვიათები არიან. მხოლოდ განსაკუთრებული ღმერთთან დაახლოვებული, წმინდა ადამიანები ლოცულობენ და იცებენ ტკბილ და სასიხარულო გრძნობებითა დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორ სრულდება ღვთის-მსახურება და როგორის მოწყობილობისა ეკლესია. საზოგადოდ კი ჩვენ სუსტნი ვართ და ლოცვაში, სულის ღვთისადმი მიმართვაში ვსაჭიროებთ გარეგან საშუალებებს. რო უფრო მხურვალე გრძნობები დაგვებაღოს, ამისათვის საჭიროა, რომ ღვთის-მსახურება გამშვენებით სრულდებოდეს, და ეკლესია, რაც შეიძლება, კარგად იქნეს მოწყობილი. ამგვარად ღვთის-მსახურების და ეკლესიის მშვენებას ადამიანის სარწმუნოებრივ

ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს, იგი იზიდავს მას ტაძრისადმი, აჩვენებს მას წირვა-ლოცვის ხშირად მოსმენას. აქ მოვლენას ჩვენ მოძღვრებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, მათ ყოველგვარი ღონისძიება უნდა იხმარონ ტაძრის გამშვენებისათვის და უნდა ცდილობდნენ ეკლესიურ მსახურების გამშვენებით ასრულებასა, ა). ეკლესიების გამშვენება ჩვენ ყველას თვის თავზე გამოცდილი გვაქვს, რომ ჩვენ სიხარულით მივისწრაფით იმ ტაძრებში, რომლებიც შნოიანად არის მორთული, სადაც ხატები, სატრაპეზო, სასამკვეთლო, სამღვდლო შესამოსლები, სამათლები და სხვა საეკლესიო ნივთები ეკლესიის შესაფერი ღირსებისაა. ღარიბ ეკლესიებში, სადაც დაჭყლეტილი, გაშავებული, მახინჯ სახეებიანი ხატები კიდეა, სადაც შესამოსელი დაფლეთილ-გამწვირიანებულია და სასამათლები დაქანგული და დაღრენკილია, იქ დგომა მაინც და მაინც არ გვეხალისება. ასეთი მნიშვნელობა აქვს ეკლესიის სიმშვენეირებსა, ამისთვის მოძღვრებმა უნდა იქნარიონ ზრუნვა ეკლესიების გამშვენებაზე, რათა მათდამი ხალხი მიიზიდონ. საშუალებაა მოსაპოვებლად მიმართონ მრევლთ, განსაკუთრებით შეძლებულ პირთ და შეაგონონ მათ ტაძრების გამშვენების საჭიროება და სარგებლობა; ანუ კიდევ ამ საგანზე მოიხმარონ ის ფულები, რომლებიც ეკლესიებში ხელ უხლებლად ინახება, როცა ეკლესია გამშვენებული იქნება, მაშინ ხალხიც ბლომად იწყებს სიარულს, შემოსავალიც მეტი იქნება და ყულაბშიც უფრო მეტი შეინახება. აქ არ შეგვიძლია გულ მუხარებით არ მოვიხსენოთ გულ გრილობა და დაუდევრობა ჩვენის ერისა ეკლესიებისადმი, განსაკუთრებით კი განათლებული და შეძლებული საზოგადოებისა, თავად აზნაურობისა. ძველ დროშიდ ჩვენნი დიდებულნი მრავალ და შეენიერ ტაძრებს აშენებდნენ, სწირავდნენ ოქროთი და ვერცხლით მოჭედდნენ ხატებს, ოქრომკედით მოქსოვილ შესამოსლებს, თვის ადგილ-მამულებს, და ახლა კი ეკლესიებს ვინ ჩივის, მაშინ კი როდესაც უსარგებლო მხოლოდ მოკლე ჟამიერ სია-

\*) იხილეთ „მწყემს“ი № 2, 1898 წ.

მოწვევის მომნიჭებელ საგნებზე ასობით და ათასობით ხარჯვენ. ამას გარდა, ქე მაინც წამაქვებელი მაგალითები თვალწინ არ ედგას ჩვენ ერს; არ ბაძავს იგი რუსებსა, რომლებიც სიხარულით პასუხს იძლევიან მოძღვართა მოწოდებაზე, აკმაყოფილებენ ეკლესიის საჭიროებათა; უღარიბესნიც კი ამათგანნი არ ჩამორჩებიან შეძლებულთა, ესენიც დაუზარებლად სწირავენ თვის წვლილსა. შეუმჩნევლად რჩება ჩვენის ხალხისთვის ის მოვლენა, რომ თითქმის არცერთი ცოტათი მაინც შეძლებული სომეხი ისე არ ჩადის საფლავში, რომ ცოტადენი ეკლესიის სასარგებლოდ არ დასტოვოს. ბ) გამშვენებული ღვთის მსახურება. შემჩნეულია, რომ ხალხი ბლომად იკრიბება იმ ეკლესიებში, სადაც ღვთის-მსახურება გამშვენებით სრულდება. იმ ეკლესიებში კი, სადაც სამღვთო სამსახური ყოველივე წესიერებას მოკლებულია, სადაც მხოლოდ მღვდლის ბუტბუტი და მედავითნის ტარატური ისმის, ორიოდე კაცი თუ ნახეთ, კარგია. გამშვენებულ საეკლესიო მსახურების მიმზიდველობა ხალხისათვის მოძღვრებისგან არ უნდა იქნეს უგულვებელ-საყოფელი. გარდა იმისა, რომ ღვთის-მსახურება უნდა სრულდებოდეს კრძალულებით, და ლოცვების და საგალობლების სიტყვები უნდა წარმოითქმებოდენ გარკვევით, ყველას გასაგონად, კიდევ საჭიროა, რომ ღვთის-მსახურება ჯეროვან წესიერებით და გამშვენებით სრულდებოდეს. კვერექსების და ასამაღლებლების წარმოთქმას, ჯვრის გადასახვას, კმევას, მსახურების დროს ეკლესიაში სიარულს, და ყოველ მოქმედებებს ეკლესიის მოსამსახურეთა შესაფერი შნო უნდა მიეცეს.

კაჭახიძე.



### საზოგადოებრივი ეპოლიუსია

და

### თანამედროვე სამღვდელოება.

(დ. კლდიაშვილის სურათის გამო: „მკვლში“ „მომე“ 1898 წ. № 1).

გაგრძელება \*).



იმართათ ახლა თვით სამღვდელო სამსახურის ხასიათს სოფელსა და ქალაქში. რას ვხედავთ აქ ერთი მხრით 5—10 ოთხ-კუთხი ვერსის მანძილზე, მთიან-ღრიან კლებში (მთიულეთი, ზემო-იმერეთი, რაჭა-სვანეთი, ლეჩხუმ-აფხაზეთი), ან ცხელ (შუა-ქართლი) და ნოტიო [ქვემო-იმერეთი და ნაწილი გურია-სამეგრელოსი] ქალებში შორი-შორს გაბნეულ სოფლებს, სადაც ავღრიან-ზამთრიანში თოვლ-ქარბუქ ტალახი და უგზოობა გიჭირვებს საქმეს, ზაფხულში კი მწვავე სიცხე, ჭაობთა მიაზები და მათი თან-მდევი სნეულებანი (მაგალ., ქვემო იმერეთის და სამეგრელოს ციფება) და სხვ. მეორე მხრით: ქალაქის ერთ-ერთს უბანს, ან დაბას, სადაც მრეელი და ეკლესია მღვდლის ბინას სულ რამოდენიმე ნაბიჯით შორავს, სადაც მთებსა და ღრიან კლებში სიარული არ გლავასთ, ქარ-ბუქი არ გაშინებსთ და ავთ-მყოფობის წინააღმდეგ კი ყოველნაირი საშუალებანი გეადვილებათ... ამას დაუმატეთ ის გარემოებაც, რომ მაღალი ხარისხის, ან რაიმე საპატიო თანამდებობის მიღება (რაზედაც, რასაკვირველია, არც ერთი ჩვენგანი არ იტყვის უარს) ქალაქის მღვდლისათვის უფრო ადვილი მოსახერხებელია, ვინემ სოფელისთვის, — და უეჭველია, თქვენ ადვილათ დაგვეთანხმებით, რომ ამ შემთხვევაშიც ქალაქის მხრივ ცდუნება ჩვენი სამღვდელოებისათვის საკმაოდ საგრძნობელია...

ჩვენ ბევრჯელ გვქონია შემთხვევა ჩვენი ახალგაზდა სოფელ მღვდლებისაგან ამნაირი საჩივარი მოგვესმინა: „სოფელში გამოცურვდით, დაეჩლონდით; კაცი არ არის ხეირიან საგანზე გამოგვესაუბ-

\*) იხ. „მწყმში“ № 2, 1899 წ.



როს, გონებრივად შეგვემაგროსო; გაზეთის გამოწერა რომ გვინდოდეს, ან შეძლება არა გვაქვს, ან ვერ მოგვიხერხდება: თავის დროზე ვეღარ მოგვიკითხავს რკინის გზის სადგურზე, და გვეკარგებაო; ასე გასინჯე რუსული ლაპარაკიც კი დაგვაფაწყდა: უცხო აღამიანთან ორი სიტყვის თქმაც ვეღარ მოგვიხერხებიაო“ და სხვ. და ამას ამბობენ ის მღვდლები, რომელნიც მაინც და მაინც არც ისე ძალიან დაშორებული არიან, სამოქალაქო ცენტრებს; მაშ, რაღას იტყვიან იგინი, ვისაც ბედმა შორს, მიყრუებულ სოფლებში არგუნა სამსახური?.. ეს სამართლიანი საჩივარი სრული თავდებია იმისა, რომ თანამედროვე სოფელი ჩვენს „ინტელიგენტ“—სამღვდელოებას ვეღარ აკმაყოფილებს. და ამას შემდეგ, განა გასაკვირველია, რომ ამ უკანასკნელს მთელი თვისი სიმბაჭია „უკეთეს ადგილისკენ“, ქალაქ-დაბებისკენ ქონდეს მიქცეული, ერთი სიტყვით იმისთანა ადგილისკენ, სადაც ზნეობრივ და გონებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება უფრო ადვილია და მოსახერხებელი, ვინემ სოფელში, საცა, როგორც ვიცით, ხშირად ორი ხეირიანი წიგნიც არ მოიპოვება\*), საზოგადოებრივ და ესტეტიკურ გრძნობათა დაკმაყოფილება სოფელებისა კი სუფრაზე ქვიფს და ცეკვა-სიმღერას ვერ გაცილებია...

გარნა ყველაზედ უფრო ძლიერს ტენდენციას —მიდრეკილებას „ბაზრის ადგილთან“ დაახლოვებისადმი ჩვენ სოფელ მღვდელთა საოჯახო მდგომარეობაში ვამჩნევთ. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი სამღვდელოების ეკონომიური ვითარება დღეს იმნაირ პირობებში ჩადვა, რომ იგი თითქმის, ყოველ საქირო შემთხვევაში იძულებული ხდება „ქალაქს“ (ან როგორც გურიაში ეძახიან „გოროდს“), საბაზრო ცენტრს მიმართოს. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას იმერეთის და გურია-სამეგრელოს სამღვდელოებაზე, რომელიც მრევლისაგან სარჩოს „ჭინახულათ“ კი არ იღებს, არამედ ფულათ („დრამა“), და რომელიც, ამასთანავე, უმეტესათ ხიზან და, არა-იშვიათათ, უმიწაწყლო პირთაგან შედგება,—რისგამოც იგი

\*) ამ შემთხვევაში ჩვენი მხრის სხვა კუთხეებისგან საკმაოდ განირჩევა გურია, სადაც, როგორც გვესმის, თითქმის ყოველ სოფელში ცდილობენ წინგთ-საცავ-სამკითხველოები დამართონო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს მოვლენა, ესოდენ სასურველი და ხალხისთვის სასარგებლო, არც იქაურ სამღვდელოებისთვის დარჩება უმნიშვნელოთ.

იძულებულია ყველაფრის მონაყიდე იყოს, ყოველი მოთხოვნილება ფულით დაიკმაყოფილოს. ფულისთვისება კი იგეთია, რომ იგი მყიდველის მხრით ბაზარზე გასვლას მოითხოვს, ბაზართან დაახლოვებას გამოიწვევს. სანთავაგეა, ტანსაცმელი თუ სახლის მორთულობა, ყოველსავე ამას ხიზანი და მონაყიდე მღვდელი ბაზრის ალაგას შოულობს, ბაზრიდან მოაქვს. და ეს კი მას თავისთავად შეაგულიანებს, იმის ნაცვლად, რომ ბაზარში შორიდან არ იარს (რაც ზოგიერთ სოფლებიდან, სრული უგზოობის გამო, არც ისე ადვილი მოსახერხებელია),—საქმე გაიადვილოს, წინ წაიწიოს, ბაზრის მახლობლათ გაიჩინოს ბინა... მარამ, საკმაოა, სოფლის მღვდელი რომელსამე მცირე ბაზარს დაუახლოვდეს, რათა მალე იგრძნოს საჭიროება კიდევ უკეთესი ადგილი ეძიოს, უფრო დიდ სამოქალაქო ცენტრში გაიჩინოს ბინა და სამსახური. საქმე იმაში გახლავსთ, რომ ბაზრის მახლობლათ დასახლებულს სოფლის მღვდელს სოფელური შემოსავალი ვეღარ აკმაყოფილებს: მას მოთხოვნილება და ხარჯი თითქმის ქალაქური აქვს, შემოსავალი კი მცირე—სოფელური. და ამ შემთხვევაში იგი იძულებული ხდება ორში ერთი აირჩიოს: ან უკანვე, სოფელშივე, შემობრუნდეს, ან წინ გაიწიოს, ქალაქში ან დაბაში იშოვოს სამსახური. შუა გზაზე გაჩერება კი მისთვის მეტათ აუტანელია. რასაკვირველია, ამ ორში, თუ გარემოება ხელს უწყობს, იგი უკანასკნელს ირჩევს და, ამნაირათ, მისი ერთი ნაბიჯი ქალაქისკენ მეორესაც თან იწვევს, მეორე—მესამეს და ასე ბოლომდე...

როგორც მკითხველი უთუოთ შეამჩნევდა, აქამდე ჩვენ განგებ არა ვთქვით რა ჩვენი სამღვდელოების ეკონომიურ მდგომარეობის მეორე მხარეზე, სახელდობრ იმ მიზეზებზე, რომელთ წყალობითაც ჩვენი სამღვდელოების დიდი უმრავლესობა ჯერჯერობით მაინც, არამც თუ მარტო ოფიციალურათ, არამედ აზრით და გრძნობა ინტერესებითაც კი, თვით სოფელზეა «მიკრული», ერთ რომელსამე მრცვლზეა „მიჯაჭვული“. ამ გზით ჩვენ ვფიქრობდით უფრო ნათლათ წამოგვეყენებია წინ იმავე მდგომარეობის პირველი მხარე, მისი სამოქალაქო ცენტრისკენ მიდრეკილება. ამას გარდა, ჩვენთვის არც ის იყო დაფარული, რომ ჩვენი სამღვდელოების ამ გვარს «მიჯაჭვულობას» მაინცა და მაინც სამარადისო ძალია როდი აქვს, ის კი არა და, ჩვენი ფიქრით, შორს

არაა ის დრო, როდესაც ამ მოვლენის ძირეული მიზეზი — როგორ მიზეზათაც ჩვენ უძრავი ქანებს მიგვაჩნია სამღვდლო პირთათვის თვის მნიშვნელობას დაკარგავს და მაშინ, უეჭველია, ეს «მიჯაჭულობაც» თვის უმთავრეს ძალას მოკლებული შეიქნება. მარამ, უსაფუძვლოა რომ არავინ შემოგვწამოს, საჭიროა ეს აზრი განვმარტოთ. როგორც მოგვხსენებათ, ის უხვი ქონება — ადგილ-მამული — რომელშიაც ჩვენ ვხედავთ უმთავრესს მიზეზს ჩვენი დღეინდელი სამღვდლოების უმრავლესობის ერთს-რომელსამე სოფელზე «მიჯაჭულობისას», — ეს უძრავი ქონება ამ პირებს შეძენილი აქვთ ან მემკვიდრეობით ან საკუთარი ნებელობით. იკითხება: რა მოსაზრებით და ანგარიშით ხელმძღვანელობდნენ ეს პირნი, როცა მამა-პაპეულ ადგილებს კიდევ ახალს ამტებდნენ და ამის გულისთვის ფულს არ ზოგავდნენ? სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი — მოტივი? უეჭველია ეს მოსაზრებანი და ეს მოტივები თვით ცხოვრების და სახელდობრ იმ წრის ზეგავლენით იქნებოდა გამოწვეული, სადაც ეს პირნი იმყოფებიან. ცხოვრება მათგან თავიანთ ოჯახობის აწმყოსა და მერმისზე ზრუნვას მოითხოვდა, წრე კი ამ შემთხვევაში სახელმძღვანელოთ იმ ძველ დროიდან დარჩენილ ტრადიციებს და საშუალებებს აწვდიდათ, როდესაც ყოველ მოთხოვნილებას თითქმის მარტო ადგილ-მამულით იკმაყოფილებდნენ, ასე გასინჯეთ, ადამიანის ღირსებასაც კი ადგილ-მამულის რაოდენობით ზომდნენ, — (ბევრს თანამედროვე სოფელში ამას თავისი მიზეზები აქვს, განსაკუთრებით ზემო იმერეთსა და ქართლ-კახეთში, სადაც, როგორც ვიცით, ხალხის ძალღონეს ჯერ ისევ ადგილ-მამული შეადგენს), — და აკი ამიტომაცაა, რომ მომეტებული ნაწილი ჩვენი სოფლელი სამღვდლოებისა ახლაც „ადგილ-მამულით“ ფიქრობს ოჯახობის მერმისი უზრუნველ-ჰყოს და რამოდენათმე ახალი მოთხოვნილებანიც დაიკმაყოფილოს.\*) მარამ ცხოვრება წინ მიდის, რთულდება, პირობები იცვლებიან: ერთი მხრით სამღვდლო პირთა მემკვადრეების (შვილიერობის) რიცხვი მატულობს, ასე რომ მამისეული ადგილ-მამული, რაგინდ ძლიერ დიდიც იყოს, მათ აღარ ყოფნისთ, და თუნდ კიდევაც ეყოსთ, მათთვის იგი ხშირათ გამოუსადეგარი ხდება, რადგან მომეტებულათ იგინი, სწავლის გათავების შემდეგ იმისთანა სამსახურში შედიან, რომ არამც თუ მამისეულს უძრავ ქონებას, არა


იშვიათათ თავის სოფელსაც ვეღარ წვდებიან; მეორე მხრით — მატულობს სოფლელთა რიცხვიც, საუკეთესო ადგილები შეძლებულ მებატრონეთა ხელში მგროვდება, მიწები ძვირდებიან, და მღვდელს თითქმის სრულებით ეკარგება შეძლება თავის მცირე შემოსავლით ახალი მამული შეიძინოს, მით უმეტეს რომ ეს შემოსავალი მას უფრო მიუცილებელ და ვადაგადაუდებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ ჰქირდება. — აგეთია, საზოგადოთ, ის პირობები, რომლებშიაც ბევრგან უკვე ჩადგა ჩვენი სოფლელი სამღვდლოების ცხოვრება... ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ სოფლის მღვდლათ თანა მდროვე „კურს-დამთავრებულთაგან“ უფრო იმისთანები მიდიან, რომელთაც, სიღარიბისა და საზოგადოთ ქონებრივ-უმწეობის გამო, სხვაგან წასასვლელი გზა აღარ დარჩენიათ.. და ამას შემდეგ, გვექნება თუ არა საბუთი, დავასკვნათ, რომ ის მიზეზი, სახელდობრ უძრავი ქონება-ადგილ-მამული, რომელიც ჩვენი სამღვდლოების უმრავლესობას დღეს (ავათ თუ კარგათ) სოფელზე „აჯაჭავს“, აღრე თუ გვიან, ახალი პირობების ზედ-მოწვევით, ჩვენი სამღვდლოებისათვის თავის მნიშვნელობას დაკარგავს (თუ ჯერ კიდევ არ დაუკარგავს, ზოგან მაინც) და თავის პატრონს იმავე „ოქროს ვერძის“ ანაბარათ დატოვებს, რომლის „ბოლო“ ჩვენ უკვე შევამჩნიეთ და მოვიხსენიეთ...

დრკებით ჩნდილოქლი ს. გ.



\*) არ იქნება უადგილო შევნიშნოთ, რომ ზოგიერთს მღვდელს მრველი ერთ სოფელში ყავს და ადგილ-მამული კი მეორეში, ასე რომ ხშირათ ეს სოფლები 10-15 ვერსზედაც არიან ხოლმე ერთმანერთს დაშორებული, — რისგანაც როგორც მღვდელს ის მრველსაც საქმე ძალიან უჭირდებათ.

# სეპინარიელების მოკზნურობა შიო მღვიმის მონასტერში.



ებერვლის 24 ს თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეები, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ფლაბიანეს ლოცვა-კურთხევით, გავემგზავრეთ შიო მღვიმის მონასტერში, რომელიც მდებარეობს 34 ვერსის მანძილზე თბილისიდან, რათა მეორე დღეს, როდესაც საქართველოს ეკლესია დღესასწაულობს ღირსი მამა შიოს გარდაცვალებას, გველოცათ თვით ამ მონასტერში, სადაც მოღვაწეობდა და სადაც აქამდისინ ინახება წმინდა ნაწილები ამ წმინდა მამისა. საღამოს მეოთხე საათზე ჩვენთვის აღრევე მომზადებულ ვაგონებით გავემგზავრეთ ძეგვისაკენ. (მცხეთასა და კსანკას შუა). ჩვენთან ერთათ მოდიოდნენ რექტორი სემინარიისა არხ. გერმოგენი, ინსპექტორი მღვდელ-მონაზონი დიმიტრი და მისი თანაშემწეები. ყველა დიდის სიხარულით ველოდით იმ დროს, როცა საკუთარი თვალით დავინახავდით იმ ადგილს, სადაც გაუტარებია თვისი სიცოცხლე „ივერიის ეკლესიის მფარველს“. ექვსის ნახევარზე ყველანი ჩამოვხტით „ძეგვში“. ბარომით გავედით შტკვარში და ფეხით გავსწიეთ მონასტრისაკენ. მართალია, მონასტრამდინ 7—8 ვერსი გზა სულ ოღრო ჩოღროიანი და კლდიანია, მაგრამ დაღაღვას არაყინ არ ვგრძნობდით; დარიც შევნიერი იდგა და რაც წინ მივდიოდით და უფრო და უფრო უახლოვდებოდით მონასტერს, ჩვენ სულიერ სიხარულს საზღვარი აღარ ჰქოდა. მზე უკვე ჩავიდა, როდესაც მონასტერში მივედით.

შიო მღვიმის მონასტერი გაშენებულია მაღალ ადგილზე და შემოზღუდულია სამის მხრით მაღალი კლდით; აქვს სამი საყდარი. პირველი აშენებულია იოანე ნათლის მცემლის დაბადების სახელზედ. ამ საყდარში არის მღვიმე, რომელშიაც წმინდა შიოს საფლავია, გამშვენებულნი მეთე ვახტანგ VI-ის მიერ. მეორე საყდარი არის აშენებული მიძინების სახელზედ. მესამე სულ პატარა საყდარი-არის შიოს სახელზედ. ის აშენებულია იმ ადგილას, სადაც

უღვაწია წმინდა შიოს. ამ ეკლესიაში დღემდინ ინახება წმინდა ნაწილები ამ წმინდა მამისა, მონასტერი ახლა შედარებით კარგ მდგომარეობაშია, ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრეს წყალობით. მე რამდენიმე მლოცველებისგან გავიგონე შემდეგი: „ქვა ქვაზე არ იქნებოდა ახლა აქ, თუ არ იმ ერთ კაცის წყალობითაო“, ესე იგი ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრესი, და მართლაც შეიძლება კაცმა თამამად სთქვას, რომ მხოლოდ ამ მონასტრისთვის სცხოვრობს ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე. მან შესწირა ამ მონასტერს 21 ათასი მანეთი, რომლის სარგებლით სცხოვრობს სამი ბერი და რამდენიმე მორჩილი. მისვლის უმაღვე ჩვენ შევეგროვდით საერთო ზალაში, რომელიც ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს განკარგულებით აღრევე მოემზადებინათ ჩვენთვის. ცოტა ხნის შემდეგ აქ შემობრძანდა თვით ყოვლად-უსამღვდელოესი ლეონადე, დაგვათვალიერა და გვითხრა რამდენიმე ალერსიანი სიტყვები, რომლის შემდეგ გავსწიეთ მიძინების ტაძარში, სადაც მწუხრი-ცისკრითურთ ქართულად შეასრულა ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა სემინარიის რექტორის არხ. გერმოგენის, ინსპექტორის დიმიტრის და სხვა სამღვდელოთა თანა მსახურებით. არხ. გერმოგენმა ყველა ასამაღლებელი სთქვა ქართულად და თავისი ნამდვილი ქართულის კილოთი განუსაზღვრელი სიხარული დაჰბადა ქართველი მლოცველების და განსაკუთრებით მოწაფეების გულში. მეთე საათზე გათავდა ლოცვა, რომლის შემდეგ ისევ იმ ზალაში შევეგროვდით ჩაის დასალევად. ჩაის შემდეგ ყველანი წავიდ წამოვიდნენ დასაძინებლად. მართალია, სივიწროვის გამო ცოტა შეწუხებულნი ვიყავით, მაგრამ ლეონიდეს გრძნობიერმა და ალერსიანმა სიტყვებმა შეწუხება სიხარულად გადაგვიქცია. მეორე დილას გათენების უმაღვე უმეტესი ნაწილი ფეხზე ვიყავით; დავიარეთ ყველა ახლო-მახლო ადგილები; ვნახეთ რამდენიმე გამოქვაბულნი, რომლებშიაც, როგორც მოწმობს მათში დარჩენილი ჯვრის გამოხატულება, მოღვაწეობდნენ წმინდა შიოს მოწაფეები. ცხრა საათზე წავედით წირვაზე. დარი კარგი იდგა და ახლო-მახლო სოფლებიდანაც ბევრი მლოცველები შეიკრიბა. წირვა შეასრულა ყოვლად უსამღვდელოესმა ლეონიდმა რექტორის,



ინსპექტორს და სხვათა თანამსახურებით. რექტორი, არხ. გერმოგენი ასამაღლებლებს ქართულად ამბობდა, ღვთის — მახურების დროს გალობდნენ ჩვენი ქართულ-რუსული მაგალობელთა გუნდები. წირვის შემდეგ მიძიბის ტაძრიდან, რომელშიაც წირვა იყო, წავედით შიოს პატარა ეკლესიაში, სადაც ყოვლად უსამღედლოცესმა სხვათა თანამსახურებით პარაკლისი გარდაიხადა, შემდეგ ვემთხვეით წმინდა შიოს წმინდა ნაწილებს. ამ დღეს ყოვლად სამღედლომ ჩინებული სადილი გაგვიმართა, სადილის შემდეგ, როცა მისი მეუფება გამოვიდა თავისი ოთახიდან, მოწაფეებმა უგალობეთ ქართულად „მრავალქამიერ“, რომლის შემდეგაც კეილი ინება წავეყვანეთ მღვიმეში, სადაც შიოს საფლავია; იქმამა რექტორმა გარდაიხადა მკირე პარაკლისი. პარაკლისის შემდეგ ლეონიძმა მოგვმართა ჩვენ, დროს შესაფერი, გრძნობიერი სიტყვით, რომელშიაც გამოხატა ჩინებული მოღვაწეობა ჩვენ მამა-პაპათა, რომლების მოღვაწეობის ნიშანი ყოველ ნაბიჯზე დარჩენალა ამ შესანიშნავ ადგილებში. მღვიმიდან წავედით მიძინების ტაძარში, სადაც მისმა მეუფებამ გვაჩვენა ძველი ხატები, და ნაშთი წმინდა ნეოფიტისა. აქ, ტაძრის კარების წინ, მისი ყოვლადუსამღედლოცესობის სურვილით მესურათემ სურათი გარდილო მათ მეუფებასთან ერთად. ამის შემდეგ მისი მეუფება, ლოცვაკურთხევით გამოგვემშვიდობა და ჩვენც სრულიად კმაყოფილნი ჩვენი მგზავრობისა რექტორთან და ინსპექტორთან ერთად ფეხით დავბრუნდათ „ქვეში“, საიდანაც მატარებლით ჩამოვედით თბილისში საღამოს 8<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათზე. ჩვენთან იყვნენ სემინარიის მასწავლებლები ი. ფერაძე და კლეონოვი, სამრევლო სკოლების ინსპექტორი ე. მამინაიშვილი და მრ. სხვანი.

დადამის მუღარება.

ღმერთო! მოხედე ჩემს ჩივილს,  
გასაჯე ღვთაებურადო,  
ევა, მიბოძე მე შემწედ  
ამხანაგად და მრჩევლადო.

ერთ სულ-ხორცობის კავშირი  
შენვე გაქედე ჩვენშიო,  
მძინარს კაცს აღჰომიშობე  
მეუღლედ ევა გვერდშიო.

მე რა ვიცოდი გულ-წრფელმა,  
თუ ევა მიმუხთლევდაო,  
მაცდენდა უცდურს არსებას  
სულ-ხორციტ დამღუპევდაო...

ეხლა კი ვხედ ვ, ევამა  
რაც მიყო ამა ქვეყნადო,  
სამოთხე დამაკარგინა  
დაკვებტები ველადო.

ნათელი შემომეძარცვა,  
ვხედავ ჩემს შიშველს კანსაო,  
ლეღვის ფოთლებით ვიფარავ  
ნათლით ნამოსავს ტანსაო.

სირცხვილისაგან კდემული  
ვიმალვი ლეღვის ბუჩქშიო,  
მესმის ხმა შენი ზეცილამ,  
ალი მკმთება გულშიო..

რა მაქვს სათქმელი, უფალო!  
რომ კი გეჩვენო პირადო,  
გცოდე, გარდავხდი შენს მცნებას  
ბრალი დამედო კირადო.

რა მაქვს საბუთი ცლომილსა?  
რითი ვიმართლო თავიო;  
თუ არ იმათი, რომ ევა  
გამოდგა ჩემთვის ავიო..

გველს დაუჯერა წყეულსა,  
მაცდუნა წმიდა სულიო,

თბ. სასულიერო სემინარიის მოსწავლე — ბ. თევზანი.





ამხადა შენი წყალობა,  
ნაღვლით ამიესო გულიო.

იხარებს ჩემზედ ეშმაკი..  
ღღესასწაულობს გველიო;..  
რომ შენი წმიდა არსება,  
შევიქმენ მათი მსხვერპლიო.

მაგრამ არ ვკარგავ იმედსა,  
შენდობას შენგან ველიო;·  
გოლგოთას ჯვართ აღმადგენ,  
კაცობრიობის მსხნელიო...

ქაიხოსრო გელოვანი.

### ახალი ამბები და შენი შენები.

ბათუმში ერთი საზაქტო ზირი ქართველი კათო-  
ლიკე ეიდუღობს საკმარისად დიდ ადგილს, სადაც სურ-  
ვილია აქვს განაშენოს სახლი უკანონო დაბადებულ  
ბავშვთა მისაღებად და აღსაზრდელად. აქვე აქნება ისეთი  
კანუოფიცილებაც, სადაც ქალები მთავრობისგან ნამეტურ  
გაჭირვებულნი, რაცა სასაწარმოოებში ვარდებიან და  
ან თავს იწამლავენ და ან თავს ახრებენ და სს.  
დემოტამს ხელი მოეშრათეს ამ კეთილ კაცს...

ნეტურბურგიდან იუწყებიან, რომ ამ უამად მსჯე-  
ლობა აქვს მიწად-მექმედების და სახელმწიფო ქანებათა  
სამინისტროს იმის შესახებ, რომ მოემატოს სასოფლო-  
სამეურნეო სკოლები საერთო რუსეთში და კერძო  
კავკასიაში.

სახუმის ქადაქის კრებას სმასნებათ აღუჩეკავათ  
38 კაცი. ამათში 26 ქართველია, 7 რუსი და 5  
ბერძენი.

უკანასკნელმა თავად-ახნაურთა კრებებმა ჩვენს სა-  
ქართველოში ძლიერ საქები გამჭრახობა გამოაჩინეს.  
ის ფულები, რომელიც ბატონობის გაყრის დროს  
მთავრობისაგან მიეცათ და რომელიც ბანკების ძირის  
თანად დასტოვეს და დღეს მთავრობამ ნება მისცა  
გამოეტანათ და დაებრუნებიათ უკანვე, თავის შვილების  
საკეთილად საქმეს შესწირეს...

თავად-ახნაურების ერთ კრებაზე. როგორც მოგვი-  
თხრობს, „ცნობის ფურცელი“, გამოთქმულია განზრახვა

იმის შესახებ, რომ მეფე ირაკლი II-ის კარდაცვალების  
დღიდან შარშან 100 წლის შესრულების გამო, აღიაროს  
შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ტფილისის სათ.-ახ.  
სკოლას დაერქვას მეფე ერეკლეს სახელი და დაასრულეს  
თავად-ახნაურთა სახლიდან შემოსულ ფულზე ტფილისში  
2 სტიპენდია საშუალო სასწავლებელში, 1 სტიპენდია—  
თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში და 1 სტიპენდია—  
მცხეთის საქადაქო სკოლაში.

9 თებერვალს მოხდა კრება ქრისტიანობის  
აღმადგენლის საზოგადოებისა ყოვლად უსამღვდე-  
ლოესის საქართველოს ექსარხოსის ფლობიანეს თავ-  
მჯდომარეობით. კრებამ განიხილა ამავე საზოგადოე-  
ბის სკოლათა ინსპექტორის მისიონერის ბ-ნ ევტინი  
მამინაიშვილის შემდეგი მოხსენებანი.

1, ქართველ მაჰმადიანთ, რომელნიც მიიღებენ  
ქრისტიანობას, დაეთმოთ ცალკე საცხოვრებლად  
სამოსახლკარო, სახნავ-სათესი სახელმწიფო ადგილი,  
რომ მართლ-მადიდებლობის მიღების შემდეგ მათ  
თავისუფლად და მყუდროდ შეეძლოთ ცალკე ცხოვ-  
რება. რადგან ახლად მონათლულები ძალა-უნებუ-  
რად იძულებულნი არიან იცხოვრონ ძველს საბა-  
ნადრო მიწა-წყალზე, სადაც მათ სასტიკად ჰკიცხა-  
ვენ და სდევნიან წინანდელი მათი ერთ-მორწმუნე  
მაჰმადიანები, მით უფრო საჭირო ხდება მათთვის  
ცალკე სახელმწიფო ადგილის დათმობა. ამ ნაირი  
კერძო საცხოვრებელი ადგილები უნდა გადაიდოს  
მათთვის ბათუმსა და ზაქათალის ოლქებში და  
ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში. კრებამ სცნა  
სასურველად ამ აზრის განხორციელება და იკისრა  
შუამდგომლობა, სადაც ჯერ არს, საქმის სისრუ-  
ლეში მოსაყვანად.

2, ახალციხის მაზრის სოფელ ვალეში დაარსე-  
ბული სკოლა, ამავე ინსპექტორის მოხსენებით,  
კრებამ დაადგინა გადაკეთდეს ორ-კლასიან სასწავ-  
ლებლად.

3, მისივე მოხსენების თანახმად ვალეს სკოლის  
მასწავლებელი ბ-ნი გაბრიჩიძე, როგორც სამაგა-  
ლითო მშრომელი და ფეხზე დამყენებელი სკოლისა,  
დაჯილდოვებულ იქმნა ორასი მანეთით. ეს საჩუქა-  
რი უნდა ეძლიოს ბ-ნ გაბრიჩიძეს, უკეთუ იგი  
კიდევ განაგრძობს თავისებურ შრომას.

4, მისისავე მოხსენებით, კრებამ ნება დართო  
თიანეთის სკოლის მასწავლებლებს, რომ გამართონ  
სახალხო კითხვები ბუნდოვანის სურათებით.

5, თანახმად ყოვლად სამღვდელო ალავერდის  
ეპისკოპოსის კირიონის მოხსენებისა, კრებამ გადა-  
წყვიტა ასესხოს ტფილისის სიონის სიძველეთა-სა-  
ცავს ორასი თუმანი სხვა-და-სხვა ძველ ხელთ-ნაწე-  
რების ცალკე წიგნებად გამოსაცემად. ვალი სიძვე-  
ლეთა-საცავმა უნდა გადაიხადოს წიგნებით.



# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ- ხსენებაზე.

ზოგიერთი ფუქრები დიდი მარხვის მეორე კვირის დღიური სახარების მანაარსის შესახებ.

ჩვენს დროში ჩვენი სხეულის ყოველ გვარი სხეულების მიზეზს ვეძებთ ჩვენს გარეშე, ბუნების რომელიმე მოვლენაში. როცა კაცი ავად გახდება, ექიმს იწვევენ. ექიმი იკვლევს ავადმყოფობას და, მასთან ერთად, შეძლებისადაგვარად, ასახელებს იმ გარემოებასაც, რომელმაც გამოიწვია ავადმყოფობა. და მიზეზად ყოველთვის ბუნების რომელიმე მოვლენას ასახელებენ. გაციება, გარდამდები სენი, სისუსტე, მეტი მეტი შრომისაგან გამოწვეული, ძველი სანოვაგე, რომლისაგან მზადდება საქმელი, ცუდი წყალი, რომელსაც ჩვენ სასმელად ვხარჯობთ, და სხვანი. აი, ჩვენს შეხედვით და მიხედვით, მიზეზები კაცის სხეულის უჭლოურებისა. მაგრამ განა მართო ზემოდ დასახელებული მოვლენანი არიან ჩვენი სხეულის სხვა-და-სხვა სხეულების მიზეზები? ამ კითხვაზე შეგვეძლო დაბეჯითებით მიგვეცა შემდეგი პასუხი: დიახ, ჩვენი სხეულის ყოველგვარი ავადმყოფობის მიზეზი არის ბუნების სხვა-და-სხვა მოვლენანი, მაგრამ ასეთი პასუხი საჯგრო იქნებოდა მხოლოდ მაშინ, რომ კაცი შესდგებოდეს მართო სხეულისაგან, რომელსაც ახლო დამოკიდებულობა აქვს ბუნებასთან, ხოლო ბუნებას კაცის სხეულზე დიდი გავლენა აქვს. მაგრამ ვინაიდან კაცს სხეულს გარდა აქვს სული, რომელსაც სხეულთან უფრო მჭიდრო კავშირი აქვს, ვინემ ხილულ ქვეყანასთან, ამიტომ რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ სხეულის რომელიმე ავადმყოფობა შედგება სულის ასეთი თუ ისეთი მდგომარეობის. დარწმუნებით შეგვიძლია

ვთქვათ, რომ, თუ კი ხილულს ქვეყანას ასეთი გავლენა აქვს სხეულზე, სულს უფრო ძლიერი გავლენა უნდა ექნეს მასზე: სულის ყოველგვარი მოშლილობა, რომელსაც უმეტესად გამოიწვევს ხოლმე სხვა-და-სხვა გვარი ჩვენი უსჯულო და ცოდვილი მოქმედებანი, უსათუოდ უნდა დაეტყოს სხეულს და ამ უკანასკნელშიაც უნდა გამოიწვიოს სხეულება.

ეს უკანასკნელი დასკვნა თავისი პრაქტიკული მნიშვნელობით იმდენად საყურადღებოა, რომ ყოველმა კაცმა სერიოზულად და ყოველ მხრივ უნდა გამოიკვლიოს ეს კითხვა, ამიტომ ჩვენც შევაჩეროთ ამ საკითხზე ჩვენი ყურადღება. მაგრამ რომ ჩვენი მოსახრება ამ საგნის შესახებ უფრო სარწმუნო და დასაჯერებელი იქნეს, ჩვენ ჩვენი საკუთარი მსჯელობის მაგიერ თქვენს ყურადღებას მივაქცევთ ღვთის სიტყვას, რომელიც არის წყარო ყოველივე სიბრძნისა და ამ ღვთის სიტყვაში მოვნახვთ ჩვენი მსჯელობის დამამტკიცებელ საბუთებს.

ვინც კითხულობს, ანუ ვინც ბეჯითად დაიარება ტაძარში და ყურადღებით ისმენს სახარების სიტყვებს, იმან, რასაკვირველია, იცის, თუ რა სახით განკურნა უფალმა კაპერნაუმში ერთი განრღვეული, მან ისიც უწყის, თუ ღვთაებრივი მკურნალის რომელი სიტყვების წარმოთქმის დროს განიკურნა ავადმყოფი. „შვილო, მოგეტყვენ შენ ცოდვანი შენი“ (როკ. 2, 5) — რქვა იესო ქრისტემ განრღვეულს, რომელიც განკურნა უფალმა მძიმე და ხანგრძლივი სხეულებისაგან. ერთი შეხედვით, ძლიერ გასაკვირი კია: კაცი ვერ ხმარობს ხელს და ფეხს, დასუსტებული აქვს ძარღვები, როგორც მოგვითხრობს მახარობელი, და, მამასადამე, მას ესაჭიროებოდა სხეულის განკურნება. იესო კრისტე კი, თითქო იგი ამას ვერ ატყობდა, უტევებს მას მის ცოდვებს და ამ სახით სრულიად ჰკურნებს სხეულს მისი ავადმყოფობისაგან. უფლის ბრძანებით, ავადმყოფი ადგა, აიღო სარცელი თვისი და გარეშე პირის დაუხმარებლად წავიდა თავის სახლში. რას ნიშნავს ყოველივე ეს? იესო ქრისტემ რატომ პირდაპირ არ უბრძანა განრღვეულს, რომ იგი ამდგარიყო და წასულიყო, არამედ საჭიროდ დაინახა, რომ თავდაპირველად ცოდვები მიეტევა მისთვის?

უფლის სიტყვები ძლიერ შესანიშნავნი და კეთის სასწავლებელნი არიან! „შვილო, მიგეტყვენ შენ ცოდვანი შენი“ — რქვა იესო ქრისტემ განრ-



ღვეულს, რომელიც მოგვარეს მასს განსაკურნებლად, და ამ სიტყვებით უფალმა ცხადათ უჩვენა იქ დამსწრე ხალხს, რომ განრღვეულის სასტიკი ავადმყოფობის მიზეზი იყო მისი ცოდვები და ამ ცოდვების მოუსპობლად არ შეიძლებოდა სნეულის მორჩენა. და ვინაიდან ავადმყოფობის მიზეზი იყო ცოდვა, ამიტომაც იესო ქრისტემ საჭიროდ დაინახა, რომ პირველად სნეული განეთავისუფლებია მისი ცოდვებისაგან. აქვე უნდა მოვიხსენოთ ისიც, რომ სახარების ისტორიაში ასეთი შემთხვევა მარტო ერთი არ ყოფილა, რომ უფალი იესო ქრისტე უცქეროდა ავადმყოფობას, როგორც შედეგს ცოდვებისას და მათგან წარმოშობილს. მოვიგონოთ, მაგალითებრ, რა უთხრა უფალმა იერუსალიმში 38 წლის განრღვეულს, რომელიც განკურნა: „აჰა, ცოცხალ იქმენ; ნუღარა ჰსცოდავ, რათა არა უძვირესი რაიმე გეყოს შენ“ (იოან. 5, 13). ცხადია, რომ ამ შემთხვევაშიაც იესო ქრისტემ მიიჩნია ავადმყოფობა ისე, როგორც ცოდვების შედეგი.

ცოდვასა და ავადმყოფობას შორის ძლიერ მჭიდრო და განუშორებელი კავშირი არის. სადაც ჩნდება ცოდვა, იქ ადრე თუ გვიან, ფარულად ანუ ცხადათ, უსათუოდ თავს იჩენს ავადმყოფობაც. და ეს ასეც უნდა მოხდეს: მოციქულის სიტყვით, «ცოდვა იგი არს უსჯულოება» (ა იონ. 3, 4), ხოლო უსჯულოება არის დანაშაულობა ანუ სჯულის დარღვევა. სჯული კი, როგორც ყოვლად ბრძენის და მოწყალე ღმერთის ბოძებული, ისე ბრძნულად არის დადგენილი და ისე სინამდვილით შეხამებული ჩვენს ბუნებასთან—ჩვენს სულთან და სხეულთან, რომ სინამდვილით და აუცილებლად ღვთის მცნებათა აღსრულება დაიფარავს, გაამტკიცებს, აღზრდის და აღმალლებს ჩვენს სულიერ და ხორციელ ცხოვრებას. ამიტომაც არის ნათქვამი საღმრთო წერილში: „რომელმან ჰქმნეს (აღასრულოს) იგი (ე. ი. მცნებანი) კაცმან სცხოვნდეს მას შინა“ (რომაელ. 10, 5); ამიტომ სჯულის მცნებათა ცოტაოდენი დარღვევა უსათუოდ იწვევს კაცის სულიერ და ხორციელ ძალებში უწყსოებას და მოშლილობას ანუ ავადმყოფობას, რომელსაც ხშირად თან მოსდევს სიკვდილიც. ამ ჭეშმარიტებაზე გვითითებს, სხვათა შორის, თვით მოციქული პავლე, როცა იტყვის: „რამეთუ საგზალი ცოდვილისა სიკვდილი არს“ (რომაელ. 6, 25) ანუ: «რამეთუ საწ-

რეტელ სიკვდილისა ცოდვაა“ (აკორინთ. 15, 56). ამასვე გვიმტკიცებს თვით გამოცდილებაც. როგორც კი შეცოდა ევამ, მასში თავი იჩინა ავადმყოფობამ: „მწუხარებასა შინა“, რქვა მას უფალმა, შობდე შეილთა (შექმ. 3, 16).

საზოგადოდ რომ ვთქვათ, ცოდვა არის ძლიერი საწამლაფი, რომელიც, იჩენს თუ არა ჩვენში თავს, მაშინვე სწამლავს ჩვენს სხეულს და აგდებს მას სხვა-და-სხვა ავადმყოფობასა და წვალებაში. მაშასადამე, ხორციელი ჩვენი უძლურებანი წარმოსდგებიან არა მარტო გარეგან მიზეზთა გამო, არამედ ჩვენი შინაგანი წამხდარობისაგანაც, ჩვენი ცოდვებისაგან.

მაგრამ შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ქვეყანაზე ბევრი ისეთი კაცებია, რომელნიც მუდამ ცოცხენ, მაგრამ ძლიერ ტანმრთელად კი არიანო. მათი ტანის სიმრთელე სრულებით არ სუსტდება მათი ცოდვებისაგან, პირიქით ცოდვების გამრავლებასთან და გაძლიერებასთან მათი სხეულიც თან-და-თან ძლიერდება და მაგრდება. მაშ სად არის ჭეშმარიტება? ამ საეჭვო კითხვას შევნივრად მარტებს ფსალმუნთ მგალობელი, წინასწარმეტყველი დავითი. „ვიხილემე, ამბობს იგი, უღმრთო უფროს ამალღებული და აღმატებული, ვიდრე ნაძვთადმე ლიბანისათა. და თანაწარებედ, და აჰა არა იყო, და ვეძიებდ მას, და არა იპოვა ადგილი მისი (ფსალ. 36, 35—36). ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ უღმრთოთა გარეგანი ღლე-კეთილობა ძლიერ საცთურიანია. ხეც კი, გარეგნობით, ხშირად არის მაღალი და მაგარი; მისი ძირები ღრმად არიან მიწაში წასული, აქვს მრავალი ტოტები, რომელნიც ფოთლებით არიან დაფარულნი; ყვავილები თავის დროზე ჰყვავიან და ფოთლები ყვითლებიან. გაველენი, როცა შეხედვენ ასეთ ხეს, სიამოვნებენ მისი გარეგანი შეხედულებით. მაგრამ რამოდენიმე დროის შემდეგ ვხედავთ, რომ ეს ხე მიწაზე ავლია. განა ვინმე წარმოიდგენდა, რომ ასეთი მაგარი ხე ასე მალე წამოიქცეოდა? ამ ხის წამოქცევის მიზეზი შეიქნა რომელიმე უძლური ქია, რომელმაც ნელ-ნელა, ჩვენ შეუნიშნავად, დარღნა ძირები ხისა, შექამა მისი გული, გააფუჭა, ანუ გააშრო წვენი ხისა, და ამ სახით იქამდის მიიყვანა ხე, რომ ამ უკანასკნელმა ვეღარ გაუძლო ქარის ცოტაოდნავ შემობერვასაც კი. ასევე საწუთრო და არა საიმედოა გარეგანი ბედნიერება ცოდვილი კაცისა. მატლი ცოდ-

ვისა ჩვენდა შეუნიშნავად, ხრავს უსჯულოთა სხეულს, რომელიც დროებითად თუმცა ჯან საღად არის, მაგრამ მისი ცხოვრება მოკლე ქამიერია.. და წუთლა, ამბობს თსალმუნთ მგალობელი, და არა იყოს უღმრთო, და ეძიებდე ადგილსა მისსა და არა ჰპოო“ (ფსალ. 36,10). როგორც კი დაიბუდებს კაცის სხეულში ცოდვა, იგი იმ დღიდგანვე იწყებს სხეულის დასუსტებას და რაც დრო გადის, სხეულიც ისე სუსტდება. კაცი, რომელიც ეტანება თავდაუქერელ და ცოდვილიან ცხოვრებას, ახალ-გაზღობაშივე სუსტდება და ბუნებით რომ კიდევ ძლიერ ტანმრთელი იყოს, უდროვოდ შედის მოხუცებაში, და უდროვოდვე ჩადის საფლავში: „რამეთუ, მოციქულის სიტყვით, საგზალი ცოდვილისა სიკვდილი არს“ (რომაელ. 6, 23). და სიკვდილთან ერთად უსჯულო იკარგება დედა-მამის პირისაგან, და მასს არავინ იხსენიებს კეთილად: „და თანა წარგხედ, და აჰა არა იყო, და ვეძიებდ მას, და არა იპოვა ადგილი მისი (ფსალ. 36, 36.). ამიტომ უსჯულო კაცის ტანის სიმრთელემ და არც მოჩვენებულმა დღე-კეთილობამ არ უნდა დაგვირღვიოს რწმენა, რომ ცოდვისაგან წარმოსდგება სხეულის ავადმყოფობა. ეს უკანასკნელი ფაქტი ნამდვილია.

მაგრამ, ერთის შეხედვით, რაღაცა საეჭვოდ მიგვაჩნია ერთი გარემოება. თუ მივიღებთ სახეში, რომ ცოდვა არის მიზეზი სხეულის სხვა-და-სხვა გვარი უძლურებისა, მაშინ უსათუოდ იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ ყველა კაცები სხეულით ავადმყოფნი უნდა იყვნენ. უეჭველია, რომ ჩვენი ბუნების უძლურებისა გამო, ჩვენ ყველანი ცოდვილი ვართ და არც შეგვიძლია უცოდველნი ვიქნეთ. ისტორია გვიჩვენებს, რომ თვით წმ. მამებიც კი ვერ იფარვიდნენ თავს ცოდვებისგან. მით უმეტეს ვერ ავსცდებით ცოდვას ჩვენც, რომელიც ვცხოვრებთ ქვეყნიურ ამოებათა შორის ქვეყანაზე, რომელიც, სიტყვისაებრ იოანე მახარობლისა, „ბოროტსა შინა ძვეს“ (I იოან. 5, 10), რომელშიაც მთავრობს სხეულის ავ-ხორცობა გულის თქმა, თვალთა გულის თქმა, და ამაო თავმოყვარება. და თუ ასეა, თუ არავის არ შეუძლია სრულად უცოდველი იყოს, ხოლო ცოდვა კი ასუსტებს სხეულს, აქედამ მხოლოდ ერთი დასკვნის გამოყვანა შეგვიძლია, და სახელდობრ იმისი, რომ ყოველი კაცი, დასუსტებული და ავადმყოფია სხეულით. მაგრამ

შეგვიძლია ასეთი დასკვნა გამოვიყვანოთ? არა! ასეთი დასკვნა შეგვეძლო საჯეროდ მიგველო მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ კაცის მიერ ერთხელ ჩადენილი ცოდვა სამუდამოდ ცოდვად რჩებოდეს და რომ კაცს არა ჰქონდეს საშუალება და შეძლება აღმოფხვრას უწინდელი ცოდვა თავის სულისაგან. კაცს კი აქვს შეძლებაც და საშუალებაც ცოდვისაგან თავის გაწმენდისა. ჩვენ ღვთისაგან გვეძლევა დრო დაუფიქრდეთ ჩვენს თავს, ყური მიუგდოთ ჩვენს სინდის და თავის მხრით მსჯავრი წარმოსთქვათ ჩვენი მოქმედების შესახებ; ჩვენ გვეძლევა საშუალება გავიწმინდოთ ჩვენი სული ცოდვებისაგან, რაც უნდა დიდი იყენენ ეს ცოდვები. კაცის ცხოვრება ისე მოკლე ქამიერი არ არის და ცოდვაც ისე მალე არ მოქმედობს სხეულზე, რომ ჩვენ დრო ვერ ვიშოვოთ თვალი გადავაგლოთ წარსულს ჩვენს ცხოვრებას და, თუ საჭირო იქნა, არ დაუკვირდეთ ჩვენს თავს, არ შევაჩეროთ ჩვენი უსჯულო მისწრაფებათა დაკმაყოფილება. კაცს თვის შორის ჰყავს პირუთენელი მსაჯული თვის მოქმედებათა. ეს მსაჯული არის სინდისი, რომელიც მაშინვე ანიშნებს კაცს, რომ მისგან ჩადენილი საქმე უსჯულოა; ეს კიდევ არაფერია, სინდისი არც დღე და არც ღამე მას მოსვენებას არ აძლევს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სინდისის მხილება იმოდენად ძლიერი იქნება ხოლმე, რომ რაც უნდა სულიერად გაფუჭებული იქნეს კაცი, იგი მაინც იძულებული ხდება ყური მიუგდოს სინდისის მხილებას. და თუ კი კაცმა შეიგნო თავისი დამნაშაობა და მოისურვა მისი მონანება, მაშინ მას რჩება მხოლოდ გამონახოს საშუალება თავისი დამნაშაობის მოსანანებლად. ასეთი საშუალება ქრისტიანე კაცისათვის, რომელიც ინანებს თავის ცოდვებს, ადვილი საშოვარია. წმ. ეკლესია, როგორც მოსიყვარულე დედა, რომელიც ზრუნავს თავის შვილების კეთილ-დღეობაზე, — ცოდვების მოსანანებლად უთითებს კაცს საიდუმლო სინანულზე. ყველას, რომელიც კი საჭიროდ გრძნობს თავისი სულის ცოდვებისაგან გაწმენდას, შეუძლია მიმართოს საიდუმლო სინანულს და სიცოცხლეშივე განიწმინდოს თავისი ცოდვებისგან. მართალია, საიდუმლო სინანულის დროს ცოდვების აღსარება სამძიმოდ მიგვაჩნია, ასე რომ როცა ვიწყებთ ცოდვების აღსარებას, სირცხვილისაგან ენა გვებმის. მაგრამ მეორეს მხრით კაცი ისეა შექმნილი, რომ, როცა მასში



ვაილიძეებს სინდისი, იგი მზათ არის თავისი კარგი ნაცნობის წინაშე საიდუმლოდ აღიაროს თავისი დამნაშაობა და საზოგადოთ რაც აწუხებს მის სინდისს, რომ ამით ცოტაოდნავ მაინც შეიმსუბუქოს თავისი გულის წუხილი. მაგრამ ცოდვების აღიარება ჩვენ მზგავს პირთა წინაშე, რაც უნდა საიდუმლოდ მოხდეს ეს, მაინც კიდევ გვაფიქრებს და გვაწუხებს, ფფიქრობთ, ვაი თუ ჩვენი ცოდვები სხვებმაც შეიტყოსო. არაფერი ამის მსგავსი არ მოხდება, როცა ჩვენ საიდუმლო სინანულში ვაღვიარებთ ჩვენს ცოდვებს. პირიქით, როგორც კი მოძღვარი წაიკითხავს: „უფალმან და ღმერთმან ჩვენმან იესო ქრისტემან მადლითა და წყალობითა და კაცთ-მოყვარებითა თვისითა მოგიტევოს შენ, შეილო (სახელი), ყოველი შეცოდებანი შენნი—და მეცა უღირსი მღვდელი, მადლითა—მისგან ჩემდამო, გარდამოცემულითა, შეგინდობ და მოგიტევებ შენ შეცოდებათა შენთა სახელითა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა ამინ“. ამ სიტყვების ღროს ჩვენი გული რაღაცა გამოუთქმელი სიხარულით ივსება, ჩვენ სულს თითქო ტვირთი შორდება, ხოლო ჩვენს სხეულში ჩნდება რაღაცა ახალი გამაცხოველებელი ძალა და ამდროს ჩვენს თავს რაღაცა კარგადა ვგრძნობთ. ამის მიმხედვარე უმეტესი ჩვენგანი დიდის ხალისით ასრულებს წმ. ეკკლესიის მოწოდებას, სიხარულით გარბის ტაძრებში, რომ იქ თავიანთი სულიერი მოძღვრების წინაშე აღიარონ ცოდვები. ხოლო უფალი ღმერთი სახიერი და მოწყალე, „რომელსაც არ უნდა სიკვდილი ცოდვილისა, არამედ მოქცევა და ცხოვრება“, მიგვიტევებს ჩვენ სულიერი მოძღვრების შუამავლობით ყოველივე ჩვენს ცოდვას, ნებითს და უნებლიეთს. საიდუმლო სინანულში მიტევებული ცოდვა სამუდამოდ კარგავს თავის ძალას ჩვენი სხეულის შესახებ და ჩვენ ვრჩებით ტანმრთელი. მხოლოდ მოურჯულებელი ცოდვილნი, რომელთაც შეხორცებული აქვს მათი ცოდვები, და რომელთა ზედა არ მოქმედებს არც სინდისის მხილება, არც წმ. ეკკლესიის მოწოდება, რათა საიდუმლო სინანულში მოინანონ ცოდვები, ემზგავსებიან სასიკვდილნე ავადმყოფთ როგორც სულიერად ისე ხორციელად. სწორეთ ასეთი მოურჯულებელი ცოდვილები ჰყავს სახეში ფსალმუნთა მგალობელს, როცა იტყვის: „და წუთდა, და არა იყოს უღმრთო; და ეძიებდნე ადგილსა მისსა, და არა ჰპოო (ფსალ. 36 10).

(«Черниг. Еп. Изв».)

**რედაქციის პასუხი.**

ნაკ. ს. ჩ—ქს. „მწყემსს“ გიგზავნით, რაიცა შეგებება ჟავნს, ეს დღეს ჩვენში გასასყიდელი არსად არ მოიპოვება, ხოლო კონდაკი კი იბეჭდება.

მდ. მ. ანტონ ცეცხლასქს. გულითად მადლობას გწირავთ თქვენი ეგეთი საქმური მოქმედებისათვის. ყველა ვალდებულია თავის მოძმეს გააგებინოს, თუ არ იცის, ააგულიანოს და მიუთითოს მისთვის სასარგებლო საკითხავზე. „პრემიები“ ყველას გაეგზავნება.

მდ. გიორგი ცეცხლასქს. მართალია შორს ვადაუტყორცნიხართ ცხოვრების ზღვის ტალღებს, მაგრამ არაფერია... ქეშმარიტ მწყემსს ქრისტეს ცხოვართა დასამწყსელად ინდოეთშიაც რომ შეხედეს წასვლა, სიხარულით უნდა წავიდეს. თქვენს თხოვნას სიამოვნებით ვასრულებთ და ორივე გამოცემას გიგზავნით გამოგზავნილი ფულით.

ახალ მდ. მ. ჯ. დე—ქს. თქვენი წერილით დიდათ ვისიამოვნე, მადლობას გწირავთ თქვენი თანაგრძნობისათვის. ბლალოჩინის მოვალეობა დიდი ტვირთია. ჩვენ სამღვდლოებას დიდი გამჭირახობა მართებს დღეს. სრული იმედია, რომ დაეხმარებით ჩვენ თანამომეტა მათ გონებით განვითარების საქმეში. სასწავლებელი სოლომონ ბრძნებს ვერ დაბადებენ, თუ სამღვდლოებამ დიდი ყურადღება არ მიაქცია თავის გონების განვითარებას.

მდ. ს. ჯაფარიძეს. რედაქციას სრულებით თქვენ არ ჰყავდით სახეში, არამედ სახეში ყავდა მღვდელი ალექსანდრე ჯაფარიძეს რომელიც რაჭაში მსახურებს და რომლისგან ფული არც დღეს არის მიღებული. კვიტანციის დაბრუნება არა ღირს, თქვენგან ფული მიღებულია.

დეკ. მ. მუხანჯიას. გამოძიების კანონები ბევრად უკეთესები არის დაბეჭდილი და აქ შეთხზული კანონების დაბეჭდვა არა ღირს.

# განცხადებანი.

მიიღება ხელის-მოწერა 1899 წლისათვის ორ კვირულ გამოცემათა ქართულს

## „მწყემს“-ზე

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ქურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ. 6 თვით «მწყემსი» 2 მ.

— „რუსული“ 3 მ. — „რუსული“ 2 მ.

— „ორივე გამოცემაზე“ — „ორივე გამოცემაზე“

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ვეირაღაშა, აგრეთვე ქუთაისშიც. თბილისში წერა-კაზნის გამაერცვლელ საზოგადოების წიგნის მალაზაში, ბ. შიო ქუთუცაწილთან. ფოთში — დეკანოზ მ. გრიგოლ მაქაროვთან; საჩხერეში — ყარასან ჩიეიძესთან; ახალციხეში — დეკანოზ დ. ხახუტოვთან; ახალსენაკში — ბლალაჩინ მათა არისტარქ კალანდარი-შვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმო-ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მასნეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილ ე-ბის სახლებში და ვეირაღაშა რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ბარეშე მცხოვრებთ ქურნალის დაბარებზე შეუძლია: თამ აღრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ»

მომავალი წლის სელის მომწერთათვის დანიშნულია სახუქრად სახულის ღვთის-გუოგლის ფოტოგრაფიული ნახატი და ჩვენი მოღვაწის ბატონის

## აკაკის სურათი

ბრესტოლის ქალაღზე დაბეჭდილი.

შემოდნიწულ სახუქრებს სელის მოწერნი მიიღებენ ფულის შემოტანისათხავეუ

კარძო საავათმყოფო ავზულატორიითურთ

## ს. ბ. თოფუჩიასი.

ქ. ქუთაისში.

სავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი ბირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფებს მიიღებს მ. ს. ბ. თოფუჩია.

ბირურგიულ, მარღით და სიფილისით მ. ფ. კ. გარბატი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და საბებოს ქალი-მ. მ. ფ. კოგანი.

თვალეების ავათმყოფისათვის მ. ი. კ. ვარშავესი.

ჩქევა დარეგების ფასა 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა სავათმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. აზერაციის ფასი გარეგებზეა. სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფუჩია.

### შინაარსი:

სალიტარატურო განყოფილება: იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების საყურადღებოდ. — გარეგნობით კეთილ-მსახურების დაცემის მიზეზი ჩვენ ხალხში და მისი აღსადგენა საშუალებები — საზოგადოებრივი ევოლოუცია და თანამედროვე სამღვდლოება. — სემინარიელების მოგზაურობა შიო მღვიმის ნონასტერში. — ადამის მუდარება (ლექსი). — ახალი ამბები და შენიშვნები

სავაჟა და მაცნიერება ქრისტიანობიკო სარწმუნოებასა და კათილწენოგაჟამ: ზოგიერთი ფიქრები დიდი მარხვის მერე კვირიაკის დღიური სახარების შინაარსის შესახებ. — რედაქციის პასუხი. — განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ღამბაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 14 марта 1899 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елѣевъ.

Типог. редакція журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.